

ფრენშაიზინგის ხელშეკრულების საგანი, როგორც საავტორო დაცვის  
ობიექტი, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია და მისი აღკვეთის საჭიროება  
მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით.

ნინო ჭითანავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
ფაკულტეტზე კერძო ბიზნეს სამართლის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის  
შესაბამისად*

კერძო ბიზნეს სამართალი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

“როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”.

ჭითანავა ნინო, 05.07.2021.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ს. ჯანაშია და სხვები, თამარ, რედ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისათვის( თბილისი: 2011 წელი), 47. <https://drive.google.com/drive/u/2/folders/1V8N3zyg-p1645nECwMIANSRWh2kqeSo> (03.07.2021).

## აბსტრაქტი

მომხმარებელთა უფლებები მისი არსიდან და პრობლემურობიდან გამომდინარე, მოითხოვს მის სიღრმისეულ კვლევასა და ანალიზს, რათა მიკვლევულ იქნას გარკვეული პრობლემური საკითხები, რაც რეალურად ზიანს აყენებს თითოეულ ადამიანს ინდივიდუალურ დონეზე. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ერთი ნაშრომის ფარგლებში რთულია ყველა საკითხის დეტალური ანალიზი, თუმცა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა - მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანისა და მათთვის არაავთენტური პროდუქტის მიწოდების პრობლემა, აშკარაა რომ არ მოიცავს მხოლოდ სამომხმარებლო სექტორს.

წინამდებარე ნაშრომი შეეხება საავტორო დაცვის ობიექტთა კანონიერ და უკანონო გამოყენებას, კერძოდ ფრენშაიზინგის ხელშეკურობებისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფარგლებში და ამ მოცემულობათა უარყოფითი და დადებითი გავლენების წარმოჩენას მომხმარებელთა უფლებრივ მდგომარეობაზე. ნაშრომში წარმოდგენილია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ანალიზი ინტელექტუალური საკუთრების უკანონო გამოყენების კუთხით. მეორე მხრივ გაანალიზებულია ბიზნეს სექტორში ავთენტური პროდუქტის მიწოდების გარკვეული საშუალებები, რომლებიც ინტელექტუალური საკუთრების გადაცემის მიუხედავად კანონიერ ფარგლებში ექცევა და მომხმარებელს არ უქმნის რაიმე დისკომფორტს.

საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე საჭირო გახდა სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენება, რათა სათანადოდ მომხდარიყო ყველა საჭირო კომპონენტის გამოვლენა. ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, რომელიც წარმოადგენს მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და დარღვევის საკითხის დეტალურ ანალიზს ინტელექტუალური საკუთრების კანონიერი და უკანონო გამოყენების ფაქტებთან მიმართებით, საჭირო გახდა აღწერითი და შეფასებითი მეთოდების წარმოება.

სისტემური ანალიზის მეთოდით იქნა წარმოჩენილი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მახასიათებლები ინტელექტუალური საკუთრების უკანონო გამოყენების დასადგენად, ხოლო პრაქტიკული კუთხით საკითხის აქტუალობისა და პრობლემის სიმწვავის წარმოსაჩენად საჭირო გახდა სასამართლო პრაქტიკის ანალიზისა და განზოგადების მეთოდის გამოყენება.

ნაშრომში არსებულმა ინფორმაციის ანალიზმა ცხადყო, რომ მომხმარებელთა უფლებრივი სფერო საკმაოდ ფართო და კომპლექსურ მოცემულობას წარმოადგენს. ერთის მხრივ საყურადღებოა, ის თუ რამდენად კარგად შეიძლება ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ფარგლებში ინტელექტუალური საკუთრების გადაცემის რეგულირება ისე რომ ამან არ დააზიანოს მომხმარებელი და მეორეს მხრივ აშკარაა, რამდენად ხშირია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტები ამ მიმართულებით, რაც მომხმარებელთათვის დიდი პრობლემაა და საჭიროებს სათანადო მოწესრიგებას როგორც საკანონმდებლო ისე პრაქტიკულ დონეზე.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ფრენშაიზინგის ხელშეკრულების საგანი, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, ინტელექტუალური საკუთრება, ავთენტური პროდუქტი, სამომხმარებლო უფლებები, შეცდომაში შემყვანი პრაქტიკა, მომხმარებლის ნების გამოვლენა.

## Abstract

Consumer rights, due to its essence and problematic nature, requires its in-depth research and analysis in order to trace certain problematic issues that actually harm each person on an individual level. In this regard, it is noteworthy that it is difficult to analyze all issues in detail in this Master Thesis. However, one of the most pressing problems - the problem of misleading consumers and supplying them with an unauthorized product - is clearly not limited to the consumer sector.

The present research deals with the lawful and illegal use of copyrighted objects, in particular in the context of franchising agreements and unfair competition, and the negative and positive effects of these data on the legal status of consumers. The thesis presents an analysis of unfair competition in terms of illegal use of intellectual property. On the other hand, certain means of delivering an authentic product in the business sector are analyzed, which, despite the transfer of intellectual property, are within the legal framework and do not cause any inconvenience to the customer.

Due to the complexity of the issue, it became necessary to use different methodologies in order to properly identify all the necessary components. For the purpose of the paper, which is a detailed analysis of the issue of protection and violation of consumer rights in relation to the facts of legal and illegal use of intellectual property, it became necessary to follow descriptive and evaluative methods. The method of systematic analysis showed the characteristics of unfair competition to determine the illegal use of intellectual instruments, and from a practical point of view, in order to show the urgency of the issue and the severity of the problem, was used the method of analysis and generalization of court practice.

The analysis of the information in the paper revealed, that the field of consumer rights is quite broad and complex. It is noteworthy how well the transfer of intellectual property under the franchise agreement can be regulated so that it does not harm the consumer, and on the other hand, it is obvious how often there is unfair competition in this area, which is a big problem for consumers and needs to be properly regulated.

**Keywords:** Subject of the franchising agreement, Unfair competition, Intellectual property, authentic product, consumer rights, misleading practices, expression of user will.